სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №74

ქ. თბილისი

6 ივნისი 2018 წ.

„2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის N38 ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N667727, 6.06.2018წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს შედომა 2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის N38 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციისთვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება, ცნობა ამჟამინდელი სამსახურიდან და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი, სერთიფიკატი და ა.შ.); საქართველოს მოაქალაქე პირთათვის, თუკი აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. თითოეული პირი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე; უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტის შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტების ნაცვლად წარმოდგენილი იყოს უნივერსიტეტის/კვლევითი დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის მისამართი (ბმული), საიდანაც დასტურდება ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირი ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და არის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი"

2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

ნინო გაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი